ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №162803

ნომერი: AR143905

თარიღი : 07.05.2012

გაცემის თარიღი : 28.05.2012

გაცნობის თარიღი : 31.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაური ნადარეიშვილი პ/ნ 62011000326
- გუდაუთა პიონერიის 60წ. ქ. N 56

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 05/07/2012 წლის AN№AR143905 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ხოშარაულის ქუჩა №30-ში, შპს „ალიონის“ მშენებარე საცხოვრებელი სახლის კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობა და ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად, მიღებული მშენებლობის ნებრათვა. მშენებლობის ნებართვის გაცემის ერთ-ერთი საფუძველია სამშენებლო დოკუმენტაციაში ისეთი ცვლილება, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას. ამავე დადგენილების 62-ე მუხლი მოიცავს საპროექტო დოკუმენტაციაში, ახალი მშენებლობის ნებართვის გარეშე, დასაშვები ცვლილებების ჩამონათვალს. თქვენს ელექტრონულ განაცხადებაზე დართული გეგმების შესწავლის შედეგად ცხადი გახდა, რომ აღნიშნული არ ჯდება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 62-ე მუხლში მოცემულ ჩამონათვალში. შესაბამისად, არსებული ტექნიკური შეცდომის გასასწორებლად საჭიროა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.
კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნით ელექტრონული განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული მომსახურების ვებ-გვერდზე, ჯგუფი – მშენებლობის ნებართვა, ქვეჯგუფი – საცხოვრებელი სახლები, მიუთითოთ საპროექტო ობიექტის კლასის განმსაზღვრელი მახასიათებლები და აირჩიოთ ქმედება - კორექტირება.